

CYBER BULLYING – VIOLENCE OF ONLINE WORLD

D. Nozadze

University of Georgia

ABSTRACT

To date, cyber bullying has become rather common fact on the Internet, and it is especially used among adolescents. Traditional bullying for a long time is a topic for study, we have the opportunity to conduct a comparative analysis of traditional and cyber bullyings. In comparison with the traditional, to establish the identity of a person engaged in cyber bullying is much more difficult, and in some cases even impossible. Due to the fact that the Internet has no physical boundaries, an attacker can even be a citizen of another country. In order for power structures to be able to react properly to cases of cyber bullying properly, first of all, it is necessary to develop appropriate legislation, within which the police and other structures will be able to act. In addition, the investigator must be competent in the field of work with cyber technologies.

KEYWORDS: Bullying, cyber, violence

დღევანდელობაში ძალიან გავრცელებულია ინტერნეტ (კიბერ) ბულინგის საფრთხეები განსაკუთრებით მოზარდებში. ტრადიციული ბულინგი უკვე დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა მეცნიერული დისკუსიების ერთერთ აქტუალურ სფეროს, ჩვენ გვეძლევა საშუალება ჩავატაროთ მისი შედარებითი ანალიზი კიბერ ბულინგთან. ტრადიციული ბულისგან განსხვავებით, კიბერ „ბულის“ ვინაობის დადგენა განსახორციელებლად რთულ ან სრულიად შეუძლებელ გამოწვევას წარმოადგენს. ვინაიდან ინტერნეტს არ გააჩნია ფიზიკური საზღვრები, ის შეიძლება სხვა ქვეყნის მოქალაქეც აღმოჩნდეს. იმისათვის, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა შეძლონ კიბერ ბულინგის ინციდენტებზე სათანადო რეაგირება მოხდენა, პირველ რიგში უნდა შემუშავდეს შესაბამისი კანონმდებლობა, რომლის ფარგლებშიც პოლიცია შეძლებს მოქმედებას. გარდა ამისა, გამომძიებელი უნდა იყოს კომპეტენტური კიბერ ტექნოლოგიებთან მუშაობის მიმართებაში.

თანამედროვე გამოწვევები ბულინგის მიმართულებით, ტენდენციები, და მეთოდები თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამის აღმოსაფხვრელად, რა უნდა იცოდეს მოზარდმა კიბერ ბულინგის შესახებ. არის თუ არა ამ ყველაფრისთვის თანამედროვე მოზარდი

მზად, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ციფრულ სამყაროში ისინი აბორიგენებად მოიხსენებიან. თანამედროვე გამოწვევები ბუღინგის მიმართულებით, ტენდეციები, და მეთოდები თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამის აღმოსაფხვრელად, რა უნდა იცოდეს მოზარდი კიბერ ბუღინგის შესახებ. არის თუ არა ამ ყველაფრისთვის თანამედროვე მოზარდი მზად, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ციფრულ სამყაროში ისინი აბორიგენებად მოიხსენებიან. დღევანდელიობაში ძალიან გავრცელებულია ინტერნეტ (კიბერ) ბუღინგის საფრთხეები განსაკუთრებით მოზარდებში, თუმცა საზოგადოებაშიც აქტუალურია აღნიშნული საკითხი ამის მაგალითებია ბოლო პერიოდებში სოციალურ ქსებში გავრცელებული ხმაურიანი კადრები ცნობილი პოლიტიკოსების მიმართ, რასაც დიდი გამოხმაურება მოყვა. სერიოზული დაფიქრებაა საჭირო იმისათვის რომ მოზარდი არ გახდეს კიბერ ბუღინგის მსხვერპლი. დღეს დღეობით ძალიან ადვილად შესაძლებელია მოზარდი მოექცეს სხვისი ზეგავლენის ქვეშ და გახდეს კიბერ ბუღინგის მსხვერპლი. საზღვარგარეთის მაგალითებში ეს საკითხი სერიოზულ განხილვის საკითხია ჩვენთან კი ამ კუთხით მხოლოდ სასაკოლო საკითხით სამოქალაქო განათლებაში შემოიფარგლებიან ისიც ძალიან მცირედით. როდესაც ვსაუბრობთ კიბერ ბუღინგზე, რამოდენიმე ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ. პირველ რიგში, ბუღინგი არ არის ახლადწარმოშობილი ფენომენი. ის ყოველთვის არსებობდა კიბერ სივრცის მიღმა. უკანასკნელმა აღნიშნული ფენომენი ელექტრონულ ფორმატში გარდასახა და ნაწილობრივ გააძლიერა ტრადიციული ბუღინგის ნეგატიური ეფექტები. ამ შემთხვევაში ანალოგიის გაკეთება შესაძლოა ზოგადად დანაშაულთან, რომელიც უხსოვარი დროიდან არსებობდა, ხოლო დღეს მისი ნაწილი კიბერ ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება. ვინაიდან ტრადიციული ბუღინგი უკვე დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა მეცნიერული დისკუსიების ერთერთ აქტუალურ სფეროს, ჩვენ გვეძლევა საშუალება ჩავატაროთ მისი შედარებითი ანალიზი კიბერ ბუღინგთან. ეს მოგვცემს საშუალებას გავამახვილოთ ყურადღება მსგავსებებზე და განსხვავებებზე ამ ორ ფენომენს შორის, რაც თავის მხრივ დაგვეხმარება კიბერ ბუღინგის დეფინიციის ჩამოყალიბებაში. მაშასადამე, რა არის (ტრადიციული) ბუღინგი? ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერთა თვალსაზრისით, ბუღინგი არის „დორის გარკვეულ მონაკვეთში უფრო ძლიერი ადამიანის ან ჯგუფის მიერ უფრო სუსტი ადამიანის განმეორებითი ხასიათის ფიზიკური, ვერბალური, ან/და ფსიქოლოგიური ზეწოლა.“ ხშირ შემთხვევაში, ტრადიციული ბუღინგის ტიპიური მსხვერპლი არის არასრულწლოვანი, რომელსაც არ აქვს საშუალება დაიცვას თავი თანატოლებისგან ან უფროსებისგან, რომლებიც იყენებენ ამ ვითარებას ზეწოლის განსახორციელებლად. (ტრადიციულ) ბუღინგთან დაკავშირებული ინციდენტების უმრავლესობამ აჩვენა, რომ ბული და მსხვერპლი უპირატესად იცნობენ ერთმანეთს. [1] როგორც წესი, ისინი ერთ უბანში ცხოვრობენ, ან საერთო სასწავლო დაწესებულებაში დადიან.

შესაბამისად, ინციდენტზე რეაგირებას ახდენენ არასრულწლოვნების მშობლები, მეზობლები, ან სასწავლო დაწესებულების დამრიგებლები. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული რეაგირება საკმარისია ინციდენტის აღმოსაფხვრელად. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გახდა საჭირო სამართალდამცავი ორგანოების ჩარევა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ბულინგი გადაიზრდებოდა სხვა სახის დანაშაულში, მაგალითად ცემაში, ან ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებაში. ტრადიციული ბულინგის მსგავსად, კიბერ ბულინგი ხორციელდება დროის გარკვეულ მონაკვეთში უფრო ძლიერი (ავტორიტეტული) ადამიანის ან ჯგუფის მიერ უფრო სუსტი ადამიანის განმეორებითი ხასიათის ვერბალური ან/და ფსიქოლოგიური ზეწოლა. თუმცა, უშუალოდ პროცესის წარმართვის მეთოდები ერთმანეთისგან განსხვავდება. კიბერ ბულინგში მოიაზრება ისეთი ინფორმაციული და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება, როგორცაა ელექტრონული ფოსტა, მობილური ტელეფონი, „პეიჯერი“, ტექსტური შეტყობინებები, შეურაცხმყოფელი პერსონალური ანგარიშები⁴, შეურაცხმყოფელი ვებსაიტები, რათა გამიზნულად, დროში განვრცობით მოხდეს ზეწოლა ცალკეულ ადამიანზე. ანუ, ზეწოლა ხორციელდება ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებით, რომელთაც გააჩნიათ წვდომა ფიქურ ქსელზე, ან ინტერნეტზე. ზემოაღნიშნული დეფინიცია იძლევა საშუალებას კიბერ ბულინგის ფენომენის ფართო ინტერპრეტირებისთვის. აქ აღსანიშნავია ტრადიციულ ბულინგთან ერთერთი განმასხვავებელი ნიშანი, რომ „ბული“ და მსხვერპლი შესაძლოა ერთმანეთს კიბერ სივრცის მიღმა არ იცნობდნენ. ეს ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლი უგულვებელყოფს პრივატულობის პრინციპებს ინტერნეტში, გლობალურად აქვეყნებს თავის ისეთ პირად ინფორმაციას, როგორცაა საკუთარი აუდიო/ფოტო/ვიდეო მასალა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, სასწავლო დაწესებულების სახელწოდება, ტელეფონის ნომერი და ა.შ. ის აქტიურად უმეგობრდება უცნობ ადამიანებს სოციალურ ქსელებზე, მართავს მათთან მიმოწერას და სხვაგვარად უადვილებს „ბულის“ მომავალში ზეწოლის განხორციელებას. გარდა ამისა, ტრადიციული ბულისგან განსხვავებით, კიბერ „ბულის“ ვინაობის დადგენა განსახორციელებლად რთულ ან სრულიად შეუძლებელ გამოწვევას წარმოადგენს. ვინაიდან ინტერნეტს არ გააჩნია ფიზიკური საზღვრები, ის შეიძლება სხვა ქვეყნის მოქალაქეც აღმოჩნდეს. რიგ შემთხვევებში, კიბერ „ბული“ შესაძლოა იყოს ზრდასრული ადამიანი და თავს ასაღებდეს მსხვერპლის საპირისპირო სქესის მქონე კომუნიკაბელურ ახალგაზრდად. ამისათვის ის სოციალურ ქსელში, ან კომუნიკაციის სხვა ზონებში, ქმნის ე.წ. „ყალბ ანგარიშებს“, სადაც იყენებს სხვის ფოტოსურათს და მოგონილ სახელს (ზოგჯერ ზედმეტსახელს). შემდგომ, იგი შედის უშუალო კონტაქტში არასრულწლოვნებთან, რომლებზეც სურს ზეწოლის განხორციელება. კიდევ ერთ მნიშვნელოვან განმასხვავებელ ფაქტორად და დაბრკოლებად შესაძლოა მოვიაზროთ ის ფაქტი, რომ კიბერ ბულინგის მსხვერპლი ხშირად საიდუმლოდ

ინახავს მიმდინარე ზეწოლის პროცესს. ეს ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლი გამოიხსნება, ან შემთხვევით, უყვება კიბერ „ბულის“ თავის ისეთ საიდუმლოებს, რომელთა გამჟღავნებაც არ სურს მშობლებთან და ახლობლებთან. ზოგჯერ, მსხვერპლი თვითნებურად უგზავნის კიბერ „ბულის“ თავის ინტიმურ ფოტო სურათს, ან ვიდეოს. უკანასკნელი ამ ინფორმაციას იყენებს შანტაჟის მიზნით და ემუქრება თავის მსხვერპლს, რომ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში იგი გაუმხელს მის ახლობლებს საიდუმლოებს ან გამოაქვეყნებს მის ინტიმურ ფოტოებს. შესაბამისად, მსხვერპლს არ აქვს გამოსავალი იმის გარდა, რომ უსიტყვოდ დაემორჩილოს კიბერ „ბულის“. რა ამოძრავებს კიბერ „ბულის“? მეცნიერების ნაწილი აღნიშნავს, რომ კიბერ „ბულის“ მოტივები დაკავშირებულია გარკვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან. ეს არის აბსოლუტური დომინირების სურვილი, თანაგრძნობის უნარის შესუსტებული ფორმა, სიძულვილი და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიბერ ბულინგი შესაძლოა ანგარებითი მოტივებით ხორციელდებოდეს. დახურულ ინტერნეტ სივცეში ე.წ. „Darknet“-ებზე კიბერ „ბულები“ ყიდიან თავიანთ ისტორიებს და გამოძალვის მემშვეობით მიღებულ არასრულწლოვანთა ინტიმური/პორნოგრაფიული ხასიათის ფოტოსურათებს და ვიდეო მასალას. ცალკეულ შემთხვევებში, ასეთი ინფორმაცია გამოიყენება მსხვერპლის მშობლებზე ზემოქმედებისათვის და მათქან ფინანსური ან სხვაგვარი პრივილეგიების მისაღებად. კიბერ ბულინგის უმეტესი შემთხვევა, ხორციელდება თანატოლების მიერ. ისევე, როგორც ტრადიციული ბულინგის შემთხვევაში, კიბერ „ბული“ და მისი მსხვერპლი იცნობენ ერთმანეთს კიბერ სივრცის მიღმა და ერთ გარემოში ტრიალებენ. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ნეგატიური ფსიქოლოგიური შედეგების წარმოშობას. ნებისმიერ შემთხვევაში, კიბერ ბულინგი მსხვერპლზე ტოვებს თავის ანაბეჭდს, რომელიც ზოგჯერ მას თან სდევს მთელი ცხოვრების განმავლობაში. კიბერ ბულინგთან საბრძოლველად საუკეთესო ვარიანტია მისი წინასწარი პრევენცია. სამწუხაროდ, მშობელთა უმრავლესობა, რომელთა ახალგაზრდობის პერიოდში ანალოგიური პრობლემა არ არსებობდა სათანადოდ ვერ ათვისებდნენ იმ საფრთხეს, რომლის წინაშეც დგანან თავიანთი შვილები ინფორმაციის ეპოქაში. [2] შესაბამისად, ისინი ვერ ახორციელებენ პრევენციულ ზომებს და ხშირად უკვე არსებული ფაქტის წინაშე დგებიან. იმისათვის, რომ აღნიშნული პრობლემა არ წარმოიშვას, საჭიროა მშობელთა ცნობიერების ასამაღლებლად გატარდეს კამპანია. ვინაიდან სტატისტიკურად შემთხვევათა უმრავლესობაში კიბერ ბულინგის მსხვერპლი არის სკოლის მოსწავლე, ეს კამპანია უნდა გატარდეს სასწავლო დაწესებულებების ფარგლებში, სადაც მშობლებს და მასწავლებლებს ჩაუტარდებათ პრეზენტაცია აღნიშნულ საფრთხესთან დაკავშირებით. კამპანიის ფარგლებში მშობლები და მასწავლებლები მიიღებენ შემდეგ რეკომენდაციებს:

- ბავშვები არ უნდა ეკონტაქტებოდნენ უცხოებს. თუ მოზარდი არ იცნობს იმ ადამიანს, რომელიც ცდილობს „დაუმეგობრდეს“ სოციალური ქსელების მეშვეობით, მან ის არ უნდა დაიმეგობროს.
- თავიანთ სოციალურ ქსელებზე ბავშვები არ უნდა აქვეყნებდნენ ინფორმაციას „გლობალურად“. მათი პირადი ინფორმაცია მხოლოდ მეგობრებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.
- კიბერ ბულინგის მცდელობის შემთხვევაში, ბავშვმა უნდა აცნობოს მშობელს ან მასწავლებელს დაუყოვნებლივ – საწყის სტადიაზე.
- თუ კიბერ „ბულის“ ვინაობა უცნობია, მშობლებმა უნდა აცნობონ ამის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს.

იმისათვის, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა შეძლონ კიბერ ბულინგის ინციდენტებზე სათანადო რეაგირება მოხდენა, პირველ რიგში უნდა შემუშავდეს შესაბამისი კანონმდებლობა, რომლის ფარგლებშიც პოლიცია შეძლებს მოქმედებას. გარდა ამისა, გამომძიებელი უნდა იყოს კომპიუტერული კიბერ ტექნოლოგიებთან მუშაობის მიმართებაში. სამართალდამცავი ორგანოების ჩარევის შემთხვევაში, არასრულწლოვანთან ურთიერთობისას მას თან უნდა ახლდეს ფსიქოლოგი. ვფიქრობ ამ საკითხის მიმართ უნდა შეიქმნას რაც შეიძლება ბევრი თვალსაჩინო საინფორმაციო ხასიათის ბანერები ბროშურები და მინი კლიპები რეკლამის სახით, რომელიც მოზარდს ამცნობს საფრთხეების შემთხვევაში როგორ დაიცვას თავი და აარიდოს უსიამოვნო საფრთხეებს თავი და როგორ დაძლიოს ის განცდა თუ შიში რაც შესაძლოა მას ემუქრებოდეს როგორც მსხვერპლს. ასევე კარგი იქნება თუ მოზარდებმა მსგავის ონლაინ რესურსი <http://kidshealth.org/> ქართულ ენაზე. დასავლეთის ქვეყნებში უკვე დიდი ხანია რაც მიმდინარეობს საკანონმდებლო რეფორმები და სამართალდამცავი ორგანოების მომზადება კიბერ „ბულინგთან“ დაკავშირებით. არსებობს სასამართლო პრაქტიკა და პრევენტები. და ბოლოს მოკლედ მინდა ვთქვა რომ ასეთი ქმედების შედეგად საქართველოში სტატისტიკა არ გვაქვს არადა მათი რაოდენობა საკმაოდ დიდი და ისინი ყოველდღიურად განიცდიან ზეწოლას მსხვერპლის სახით და ეს ფაქტები ძალიან ცუდ ფსიქიკურ გავლენას ახდენს მომავალში მათ განვითარებაზე და წარმატებაზე. ჩვენ სკოლის მოსწავლეების დახმარებით ვატარებთ კვლევებს რომ ზუსტად განვზაღვროთ საფრთხეები და გავწეროთ შესაბამისი რეკომენდაციები სკოლის მასწავლებლებისთვის. აქვე აღვნიშნავთ სახელმწიფოს მხრიდან მანდატურის სამსახურის ჩამოყალიბების პოზიტიურ დამოკიდებულებას, იმედი ვიქონიოთ რომ სამართალდამცავი

ორგანოები სასკოლოდონეზე შეძლებენ საკითხების ღრმად გარკვევას და მოზარდი თაობის დახმარებას ზემოთ ხსენებულ პრობლემების მიმართ.

ბიბლიოგრაფია

1. Cyber Bullying: Bullying in the Digital Age, 2008 first edition by Robin M. Kowalski
2. Social Media Cyber Bullying Linked to Teen Depression By Stephanie Pappas, Scientific American, 2015